

ჰუმანიტარული კვლევები

**Ivane Javakishvili
Tbilisi State University
Faculty of Humanities**

STUDIES IN HUMANITIES

Annual

IV

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჰუმანიტარული კვლევები

წელიწდეული

IV



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

UDC(უაკ)050.8(479.22)

ჰ-952

მთავარი რედაქტორი: ზაზა სხირტლადე

ტომის რედაქტორი: მანანა რუსეიშვილი

სარედაქციო საბჭო: ზაზა ალექსიძე, ვინფრიდ ბოედერი (გერმანია), თინათინ ბოლქვაძე, დევიდ ბრაუნდი (დიდი ბრიტანეთი), დარეჯან გარდავაძე, იოსტ გიპერტი (გერმანია), რისმაგ გორდეზიანი, დარეჯან თვალთვაძე, ენტონი ისტმონდი (დიდი ბრიტანეთი), მარიამ ლორთქიფანიძე, ჰიროტაკე მადეა (იაპონია), დამანა მელიქიშვილი, ირმა რატიანი, მანანა რუსეიშვილი, აპოლონ სილაგაძე, ნანა ტონია, ბერნარ უტიე (საფრანგეთი), აკაკი ყულიჯანაშვილი, მზექალა შანიძე, კარლ შმიდტი (დიდი ბრიტანეთი), ნინო ჩიქოვანი, ელგუჯა ხინთიბიძე, ქეთევან ხუციშვილი, გოჩა ჯაფარიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნანი გელოვანი, ირინა გველესიანი, ელენე გოგიაშვილი, თამარ გოგუაძე

Editor-in-Chief: Zaza Skhirtladze

Editor of the Volume: Manana Ruseishvili

EDITORIAL COUNCIL: Zaza Aleksidze, Vinfried Boeder (Germany), Tina-tin Bolkvadze, David Braund (Great Britain), Nino Chikovani, Antony Eastmond (Great Britain), Darejan Gardavadze, Jost Gippert (Germany), Rismag Gordeziani, Gocha Japaridze, Elguja Khintibidze, Ketevan Khutsishvili, Akaki Kulijanashvili, Mariam Lortkipanidze, Hirotake Maeda (Japan), Damana Melikishvili, Irma Ratiani, Manana Ruseishvili, Mzekala Shanidze, Carl Schmidt (Great Britain), Apolon Silagadze, Nana Tonia, Darejan Tvaltavadze, Bernard Outtier (France).

EDITORIAL BOARD: Nani Gelovani, Elene Gogiashvili, Tamar Goguadze, Irina Gvelesiani

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015

ISSN 1987-894X

შინაარსი

ფილოსოფია

კონსტანტინე ბრეგაძე

ფრიდრიჰ შლაიერმახერის რომანტიკული რელიგიის ფილოსოფია, როგორც რელიგიის არსის მოდერნული გაგება და განმაჯადოებელი /განმანათლებელი სეკულარიზმის დაძლევა (ფრ. შლაიერმახერის „რელიგიის შესახებ. მიმართვები მისი მოძულე განათლებულთადმი“ [1799]) 11

ეკატერინე გამრეკელაშვილი

პლატონის შემეცნების თეორია და ცოდნა, როგორც შემოწმებული ჭეშმარიტი რწმენა თანამედროვე ეპისტემოლოგიაში 30

ფილოლოგია

კახა გაბუნია

ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქციების ჩამოყალიბების ქრონოლოგიისათვის ქართველურ ენებში 45

რომან ლოლუა

კავკასიის ალბანური ენის ლექსიკა ლეზგიურ ენათა ისტორიულ-შედარებით გრამატიკაში 60

ლევან ბებურიშვილი

ვაჟა-ფშაველას პოემა „სინდისის“ პრობლემატიკა 84

თამარ შარაბიძე

უმბერტო ეკოს „ვარდის სახელის“ ერთი ასპექტი (სატირისა და იუმორის ისტორიისათვის) 102

მაია კილაძე

კლიტემნესტრა ესქილეს „აგამემნონსა“ და კოსტას მარინისის „კლიტემისტრაში“ 123

მანანა ფხაკაძე, რაულ ჩაგუნავა

ვახტანგ VI-ის ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა 155

ისტორია

გიორგი ჭეიშვილი

ვალაშკერტის საეპისკოპოსო 169

ნანა გელაშვილი

იაპონიის თვითიზოლაციის პოლიტიკის არსი 199

ხელოვნებათმცოდნეობა

ნათია დემურშივილი

უცნობი მასალები საქართველოს ეროვნული მუზეუმის
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმიდან:
კოლექციონერი ხანუკაევი 215

პუბლიკაცია

ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, ზაზა სხირტლაძე

„გალობანი ყოველთა ნმიდათანი“ ყანჩაეთის ჟამნ-გულანში 227

რეცენზიები

მარიამ ლორთქიფანიძე, ნანი გელოვანი

გოჩა ჯაფარიძე
ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში,
I ტომი 275

ნინო დოლიძე

„ათას ერთი ღამის“ ახალი ქართული თარგმანის გამო 286

ნელი ჩაკვეტაძე

ხობის ტაძრის მოხატულობის თარიღისათვის 299

ქრონიკა – 2013

311

Contents

Philosophy

Konstantine Bregadze

Friedrich Daniel Ernst Schleiermacher's Philosophy of the Romantic School of Religion as Modern Understanding of the Essence of Religion and Overcoming the Secularism of Enlightenment (Fr. Schleiermacher's "On Religion: Speeches to its Cultured Despisers" [1799]) 11

Ekaterine Gamrekelashvili

Plato's Theory of Cognition and Knowledge as the Verified True Faith in Modern Epistemology 30

Philology

Kakha Gabunia

Towards the Chronology of Development of Ergative and Nominative Constructions in Kartvelian Languages 45

Roman Lolua

Caucasian Albanian Vocabulary in the Historical-Comparative Grammar of the Lezgian Languages 60

Levan Beburishvili

The Problematics of Vazha Pshavela's Poem "Conscience" 84

Tamar Sharabidze

One Aspect of Umberto Eco's "The Name of the Rose" (Towards the history of satire and humour) 102

Maia Kiladze

Clytemnestra in "Agamemnon" by Aeschylus and in the "Clytemistra" by Kostas Marinis 123

Manana Pkhakadze, Raul Chagunava

Lexicographic Activities of Vakhtang VI 155

History

Giorgi Tcheishvili

The Diocese of Valashkert 169

Nana Gelashvili

The Essence of Self-Isolation Policy of Japan 199

Art Criticism

Natia Demurishvili

The Unknown Materials from the Georgian National Museum
Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts:
collector Khanukaev 215

Publication

Ekvtime Kochlamazashvili, Zaza Skhirtladze

"Chants of All Saints" in Kanchaeti Zhamn-Gulani 227

Reviews

Mariam Lortkipanidze, Nani Gelovani

Gotcha Djaparidze
Researches in the History of Georgia and the Near East,
Volume I 275

Nino Dolidze

Towards the New Georgian Translation of "The 1001 Nights" 286

Neli Chakvetadze

Towards the Dating of Khobi Cathedral Wall Painting 299

Main Events – 2013 311

გიორგი ჭეიშვილი ვალაშკერტის საეპისკოპოსო

ქართულ და სომხურ წერილობით წყაროებში რამდენჯერმე იხსენიება ვალაშკერტელი ეპისკოპოსი. ცნობები საეპისკოპოსოს შესახებ მეტად მწირია. ჩანს, ის დაარსდა არა უგვიანეს XI საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისისა, ვინაიდან ჩვენთვის ცნობილი პირველი (და, ჯერჯერობით, ერთადერთი) ქართველი ვალაშკერტელი მწყემსმთავარი ზაქარია აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველო-ბიზანტიის 1021-1022 წლების სამშვიდობო მოლაპარაკებებში.¹ ქართული სამართლის ძეგლებიდან კი ირკვევა, რომ ლიხთამერის საეკლესიო ორგანიზაციაში ოცდათხუთმეტ იერარქთაგან ეს მამამთავარი პატივით ოცდამეხუთე იყო, შემდეგი რიგითობით: ნიქოზელი, ვალაშკერტელი, ბოლნელი და ა.შ.;² მესხეთის ცამეტ ეპისკოპოსთა შორის კი მას მეცხრე ადგილი ეპყრა – ერუშნელის შემდეგ და ანელის წინ.³

საეპისკოპოსოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპის რეკონსტრუირებისთვის ძირითადი ამოსავალი მისი გეოგრაფიაა.

ვალაშკერტელის სამწყსო, „სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა და მწყემსთა ნუსხის“ მიხედვით, შემდეგ თემებს მოიცავდა: „...ყალზევანს ზეითი,⁴ ვალაშკერტს აქათ ხინუსი და დევბონის აქეთი“.⁵ დევე ბოფუნის მთები, თურქი ავტორების თანახმად, არზრუმს (ეფფრატის ხეობას) ბასიანისგან (არაქსის ხეობისგან) საზღვრავდა,⁶ ხოლო ვახუშტის

¹ არისტაკეს ლასტივერტეცი 1974, 45, 51.

² დოლიძე 1965, 49.

³ დოლიძე 1970, 245.

⁴ „ყალზევანს ზეითი“ დამონმებული გვაქვს გამოცემებში: ბაქრაძე 1987, 77 და ჟორდანიას 1897, 53-54; სხვაგან (თაყაიშვილი 1907, 77; დოლიძე 1970, 245) სიტყვა „ზეითი“ აკლია. ეს კი ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ყალზევანი//კალზევანი ერთდროულად ვალაშკერტელსაც ექვემდებარებოდა და კარელ ეპისკოპოსსაც.

⁵ დოლიძე 1970, 245.

⁶ ევლია ჩელები 1971, 207.

„გეოგრაფიით“, ირიჯლუ-დევაბონის მთები არაქსის ხეობას ეფფრატ-ჭოროხის ხეობებისგან გამოჰყოფდა.⁷ მაშასადამე, „დევაბონის აქეთი“ ეფფრატ-არაქსის წყალგამყოფი ქედის აღმოსავლეთ და ჭოროხ-არაქსის წყალგამყოფის სამხრეთ კალთებს (ჩრდილოეთის კალთები, იმავე წყაროს მიხედვით, მთლიანად ბანისა და იშხნის ეპარქიებში შედის), ანუ არაქსის მარცხენა სანაპიროზე განფენილ ჩრდილოეთ ბასიანს უნდა გულისხმობდეს. ყალზევანი ისტორიული ქალაქი და ოლქია არაქსის ზემო ნელის მარჯვენა სანაპიროზე; „ყალზევანს ზეითი“, შეიძლება, მის დასავლეთით მდებარე სამხრეთ ბასიანს (აბნიკის თემს), ან სამხრეთით (მალლა) მომიჯნავე ვალაშკერტის ქვეყანას გულისხმობდეს. ვალაშკერტი ანუ ძველი ბაგრევანდი სომხური წყაროებისა ეფფრატ-არანანის (მურად-სუს) სათავეებს მოიცავდა და ვალაშკერტელის სამწყსოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქს წარმოადგენდა. ვალაშკერტის ეპარქიის სამხრეთ-დასავლეთ საზღვარს კი ხინუსი განსაზღვრავდა – ხინუსის ციხის (თურქ. ხნუს-ყალა) ქვეყანა არზრუმიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა⁸ და ჩრდილოეთით ბინგიოლის მთებამდე ვრცელდებოდა;⁹ მთებს იქით ბასიანი იწყებოდა.¹⁰ ამრიგად, ვალაშკერტის საეპისკოპოსო ბასიანისა და ბაგრევანდის ქვეყნებს მოიცავდა.¹¹ ჩრდილო-დასავლეთიდან და დასავლეთიდან მას ბანისა და იშხნის საეპისკოპოსოები ესაზღვრებოდა; ამათგან კარგაფაზარის მთები ჰყოფდა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – კარის საეპისკოპოსო, რომლისგან იმენ-სოლანლულისა¹² და აგრიდალის ქედებით იმიჯნებოდა.

ბასიანისა და ბაგრევანდის ქვეყნები ქართულ სახელმწიფოს სხვადასხვა დროს დაუკავშირდა. ბასიანი ქართლის (იბერიის) სამეფოს ნაწილად უკვე ელინისტური ხანიდან მოიაზრებოდა – ძვ.წ. II საუკუნის ბერძენი ავტორის, აპოლოდორეს, ცნობით, რომელიც სტრაბონის

⁷ ვახუშტი 1997, 123, 140-143.

⁸ შდრ. ბაქრაძე 1987, 77, შენ. 65; ბერძნიშვილი 1966, 63; ატლასი 2003, 55.

⁹ ქათიბ ჩელები 1978, 164.

¹⁰ აბულაძე 1983, 53.

¹¹ ბერძნიშვილი 1966, 63; ატლასი 2003, 55.

¹² კარის, ანუ ყარსის მაღლობისა და ბასიანის ვაკის გამყოფი მთები – იხ. ჯავახიშვილი 1998, 246; შდრ. Hewsen 2001, 63, 115.

„გეოგრაფიამ“ შემოინახა, იბერებსა და არმენიელებს მდ. არაქსი ჰყოფდა.¹³ მკვლევართა სამართლიანი მითითებით, ამ ცნობაში მდინარის ზემო წელი, ბასიან-ვანანდი იგულისხმება პირველ რიგში.¹⁴ ამავე მიწებს „პარიადრეს კალთების“ სახელით იცნობს სტრაბონიც¹⁵ და ასახელებს იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც არმენიამ მიიტაცა იბერიისგან ძვ.წ. II-I საუკუნეებში.¹⁶ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ბასიანი კვლავ ქართლის სამეფოს საზღვრებშია.¹⁷ მოგვიანებით (III ს.?) ის დიდი სომხეთის კულტურულ-პოლიტიკურსა და სოციალურ-ეკონომიკურ ორბიტაში ექცევა და ასე გრძელდება რამდენიმე საუკუნე.

ბასიანის რენაციონალიზაციის პროცესი X საუკუნიდან იწყება. ქართველმა ბაგრატიონებმა შესანიშნავად ისარგებლეს რეგიონში ბერძენ-არაბთა საბრძოლო მოქმედებების განახლებით, იმ მნიშვნელოვანი როლით, რომელსაც მათ კეისრები აკისრებდნენ¹⁸ და X ს-ის 20-იანი წლების მიწურულისათვის თითქმის მთელი ბასიანი და თეოდოსიუპოლი დაიკავეს. საიმპერატორო კარს სულაც არ ეჭაშნიკა ქრისტიან მოკავშირეთა ეს გამარჯვება. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ გადაწყდა, რომ „... მდინარე ერაქსი ანუ ფასისი ყოფილიყო ორივეს (ე.ი. ბიზანტიის იმპერიის და „ქართველთა სამეფოს“ – გ.ჭ.) საზღვრად, და ისინიც (ე.ი. ტაოელი ბაგრატიონები – გ.ჭ.) უნდა დაკმაყოფილდნენ ამ მფლობელობით და მეტი აღარ მოითხოვონ“.¹⁹

ქართველებს ბედი ამის შემდეგაც სწყალობდა: 979 წელს ბასილი კეისარმა დავით კურაპალატს სამხედრო დახმარების სანაცვლოდ „ზემო ქვეყნები“ – ხალდო-არიჭი კელე-სირიით, ჩორ-მაირი, კარინი, ბასიანი,²⁰ სეფუკის ციხე მარდალიის ოლქში, ჰარქი და აპაჰუნიქი²¹ – დაუთმო. დავითის ხელთ გაერთიანდა მიწები, რომლებზეც უმნიშვნელოვანესი სავაჭ-

¹³ ყაუხჩიშვილი 1957, 81

¹⁴ Меликишвили 1959, 291; მუსხელიშვილი 1977, 56.

¹⁵ ჭეიშვილი 1986, 122-123.

¹⁶ ყაუხჩიშვილი 1957, 189.

¹⁷ ვაშაკიძე 2009, 269; ჭეიშვილი 1997, 361.

¹⁸ ყაუხჩიშვილი 1952, 260-273.

¹⁹ იქვე, 273.

²⁰ სავარაუდოდ, აბნიკის მხარე – შდრ. ინგოროყვა 1954, 67.

²¹ Асохик 1864, 135.

რო – სატრანზიტო და სტრატეგიული გზები²² – მათ შორის, შავი და კასპიის ზღვების დამაკავშირებელი „სპარსეთისკენ მიმავალი გზა“ (ბიზანტიური პესპექტივა)²³ და ევფრატ-არაქსის ხეობებიდან ვანის ტბისკენ მიმავალი „(დიდი) სამეფო გზა“²⁴ – გადიოდა.²⁵

საქართველოს მესვეურთ გზა ეხსნებოდათ ხლათის, არჭემისა და ბერკრისკენ, ამას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თავად ბიზანტიის იმპერიის უსაფრთხოებისათვის: „თუ ეს სამი ციხე, – წერს კონსტანტინე პორფიროგენეტი, – მეფის მფლობელობაში იქნება, სპარსელთა ჯარი რომანიის წინააღმდეგ წამოსვლას ვერ შესძლებს, რადგან ისინი რომანიისა და არმენიის შუაში არიან და წარმოადგენენ ჯარებისთვის ღობესა და საფარს“.²⁶ სწორედ ამიტომაც იყო, რომ დავით კურაპალატი ასე მონდომებით ათავისუფლებდა კეისრისგან „ნაწყალობევ“ მინაწყალს, პოზიციების განსამტკიცებლად იქ ქართველებსა და სომხებს ასახლებდა, არ ჯერდებოდა მხოლოდ „ნაჩუქარს“ და საბრძოლო მოქმედებები კიდევ უფრო სამხრეთით (ხლათის ალყა) გადაჰქონდა.²⁷ მაჰმადიან მბრძანებლებთან ბრძოლები დავით III ბაგრევანდშიც, ციხე-ქალაქ ვალაშკერტთან და სუქავის მთებთან, გადაიხადა.²⁸ წყაროები არ ამბობენ, რომ კურაპალატი დაეპატრონა ამ ქვეყანას – X ს-ის დასაწყისში ეს მხარე სომეხ ბაგრატუნებს ეკუთვნოდა²⁹ და მისი პოლიტიკური სტატუსი არც ასწლეულის მიწურულს ჩანს შეცვლილი.³⁰

დავით III-ის გარდაცვალების შემდეგ ზემო ქვეყნები სამუდამოდ მოსწყდა ქართულ სახელმწიფოს, ხოლო ბასიანი თითქმის ორი საუკუნის მანძილზე ხან ბიზანტიელთა, ხან კი თურქ-სელჩუკთა მფლობელობაში რჩებოდა. მესხეთის ქვეყნების და მათ შორის, ბასიანის განმეხდა სელ-

²² ყაუხჩიშვილი 1952, 270-271.

²³ არისტაკეს ლასტივერტეცი 1974, 51.

²⁴ Гевонд 1862, 103.

²⁵ Манандян 1930, 143-145, 149-154.

²⁶ ყაუხჩიშვილი 1952, 273.

²⁷ Асохик 1864, 191-196.

²⁸ იქვე, 192, 195.

²⁹ იოანე დრასხანაკერტელი 1965, 145, 161; სტეფანე მტბევარი 1963: 175.

³⁰ Hewsen 2001, 113, 115; ატლასი 2003, 18; შდრ. ინგოროყვა 1954, 67, 526; მეტრეველი 1996, 190.

ჩუკთაგან დავით აღმაშენებელმა დაიწყო³¹ და მისმა მემკვიდრეებმა – გიორგი III და თამარმა – გააგრძელეს.³² ქართველთა არაერთი წარმატებული ლაშქრობის მიუხედავად, პოლიტიკური გეოგრაფია არაქსის ზემო ნელზე უცვლელი რჩებოდა: სტეფანოს ორბელიანის მითითებით, XII ს-ის 80-90-იან წლებში ბასიანი არზრუმის ამირას სამფლობელოდ ითვლებოდა; მიჯნაკერტში აღმოჩენილი სამშენებლო წარწერაც მოწმობს, რომ ეს ქვეყანა სალთუკიდ ამირა აბუ-მანსურს (1197-1201) ეკუთვნოდა.³³

XIII საუკუნის დასაწყისში, როგორც ამას სტეფანოს ორბელიანი გვაუწყებს, ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა გამოიხსნეს სომხეთი „სპარსთაგან“ და აიღეს არანი ვიდრე ქვემო ბასიანამდე³⁴ და ბარკუშატიდან (სივნიეთი) ვიდრე მიჯნაკერტამდე,³⁵ დაიპყრეს კარი და ვალარშაკერტი და კალზევანი და სხვ.³⁶ „სამშვილდიდან ვალაშკერტამდე“ ქვეყნების განთავისუფლებაზე მხითარ აირივანეციც მოგვითხრობს.³⁷ ორივე ავტორთან სხვადასხვა დროის გამარჯვებებია „შეჯამებული“; ქვემო ბასიანს და ვალაშკერტს ისინი საქართველოს სამეფოს საზღვრებს მიათვლიან (ბერძნიშვილი 1966, 61; შდრ. ჯაფარიძე 1995, 156-157).³⁸

სომეხ ისტორიკოსთა ცნობებს ბასიანისა და ვალაშკერტის შემოერთების შესახებ ბაგავანის წარწერა (იხ. ქვემოთ) და ქართულ წყაროთა მონაცემებიც ეხმიანება: „და სხუა შემოიხუენა (გიორგი IV-მ – გ.ჭ.) კარ-

³¹ დავითის ისტორიკოსი 1955, 333, 344.

³² ისტორიანი და აზმანი 1959, 17, 38, 78.

³³ ჯაფარიძე 1995, 83.

³⁴ სომხური წყაროები ასხვავებენ ზემო (Վերին Բասին) და ქვემო (Ներին Բասინ) ბასიანს; ბასიანი მდინარის დინების მიხედვით იყოფოდა: ჰასან-ყალა და ავნიქი ზემო ბასიანში ექცეოდა, ხოლო ხორასანი, ზიუინი, მიჯნაკერტი და გაჩევანი – ქვემო ბასიანში (ჰაკობ კარნეცი: 45-47; ჯაფარიძე 1995, 153).

³⁵ ბასიანის აღმოსავლეთი თემი არაქსის მარცხენა სანაპიროზე – შდრ. ბერძნიშვილი 1966, 60.

³⁶ სტეფანოს ორბელიანი 1978, 55, 126.

³⁷ მხითარ აირივანეცი 1990, 81.

³⁸ საინტერესოა, რომ სხვა სომეხი ისტორიკოსები, რომლებიც ასევე დეტალურად ჩამოთვლიან მხარგრძელების მიერ შემოერთებულ მიწა-წყალს, არც ბასიანსა და არც ვალაშკერტს არ ახსენებენ (Киракос Гандзакечи 1976, 118-119, ვარდანი 2002, 156, 158).

ნუ-ქალაქელი მოყურად და ერთგულად სახლისა მისისა. ჩადგა ბასიანს და მუნ ითამაშეს და გაისუენეს ერთგან. აილო კეჩროლი შალვა თორელმან მისითა კრმლითა და ომითა მისათხრობელითა...³⁹ მოტანილი ფრამენტის პოლიტიკურ-გეოგრაფიული კონტექსტი (კარნუ-ქალაქის მოხარკეობა, კეჩროლის აღება) ეჭვს არ უნდა ტოვებდეს, რომ XIII საუკუნის 10-იანი წლებისათვის ბასიანი საქართველოს სახელმწიფოს ნაწილია. მისი შემომტკიცება ბასიანის ბრძოლის შემდეგ უნდა მომხდარიყო⁴⁰ – ამ დროისათვის ტაოც საბოლოოდ განმედილია სელჩუკებისგან და კარი და მისი მიმდგომი ქვეყნებიც ქართველებს აქვთ დაკავებული; არზრუმის ვასალობაც⁴¹ საამისოდ შესანიშნავ გარემოს ქმნიდა. ამგვარ დასკვნას, ვფიქრობთ, ვერც ის ფაქტი ეწინააღმდეგება, რომ იაკუთის აბნიქის (უნიქის) „გამაგრებული ციხე ბასიანის ოლქში, არზან რუმის მიწაზე“ აქვს ნაჩვენები,⁴² ხოლო ზედა და ქვედა ბასიანის „დედაქალაქად“, ერთერთ ფაქიზზე დაყრდნობით, არზან რუმი აქვს დასახელებული.⁴³ საქმე ისაა, რომ არზრუმის კუთვნილი ბასიანის ცენტრად აქ აბნიკი გამოდის, ანუ მაინცდამაინც არაქსის მარჯვენა სანაპიროზე განლაგებულ ზედა და ქვედა ბასიანზეა თითქოს საუბარი. ასეთი გააზრების შემთხვევაში კი საქართველოს სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი არაქსზე უნდა გავატაროთ. შეიძლება, იაკუთის ცნობა ჯალალ-ედ-ინის ლაშქრობებით შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას ასახავდეს, სახელდობრ, ხვარაზმელთა მიერ ქართველების გამოდევნას ისლამური მიწებიდან⁴⁴ და საქართველოს ტერიტორიების გადაცემას მაჰმადიანი მოკავშირეებისათვის.⁴⁵

XIII ს-ის მიწურულისთვის მოგვეპოვება ჟამთააღმწერლის უთუშცაო ჩვენება, რომ ბასიანი და ტაო საქართველოში შემომავალი პროვინციებია, უფრო ზუსტად, „ტასისკართგან ვიდრე ბასიანადმდე“ ჯაყელთა

³⁹ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე 1955, 370.

⁴⁰ შდრ. ჯაფარიძე 1995, 83, 156-157.

⁴¹ ისტორიანი და აზმანი 1959, 100; ბასილი ეზოსმოძღვარი 1959, 133, 147; ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე 1955, 370; ჟამთააღმწერელი 1959, 151; Киракос Гандзакецци 1976, 118.

⁴² იაკუთი 1964, 19.

⁴³ იქვე, 26.

⁴⁴ an-Насави 1996, 149.

⁴⁵ იქვე, 186.

„ქუეშე დანესებულნი“ ქვეყნებია.⁴⁶ სამცხის მთავრებმა ბასიანი, როგორც ჩანს, 40-იანი წლების ბოლოსთვის შეიერთეს,⁴⁷ მას შემდეგ რაც სამხრეთ ტაო (ოლთისი და ბულათაყური) განმინდეს მაჰმადიან დამპყრობთაგან.⁴⁸

რაც შეეხება ვალაშკერტს (ბაგრევანდს): ბაგავანის 2010/2011 წწ. (?) წარწერის⁴⁹ საფუძველზე ვარაუდობენ, რომ XIII ს-ის დასაწყისში ბაგრევანდის ოლქი საქართველოს სამეფოში შემოდიოდა.⁵⁰ შესაძლოა, ეს ასეც იყო. ყოველ შემთხვევაში, ის მალევე უნდა დაებრუნებინა ხლათის სულტანს.⁵¹ მისი ხელახალი შემოერთება XIII ს-ის 30-იან წლებში მოხერხდა: ჟამთააღმწერლის ცნობით, შანშე მანდატურთუხუცესს ვალაშკერტი და სურბმარი ყარა-ხანის ურდოების შემოსევამდე, „მას ჟამსა ოდენ აღელო“.⁵² ქართველი მემკვიდრის ცნობას, გარკვეულწილად, ეხმიანება სომეხ ავტორთა ჩვენებებიც. კირაკოს განძაკეცი წერს, რომ მონღოლებმა „დაიპყრეს ქალაქი სურბმარი, რომელიც ცოტა ხნით ადრე შანშემ და ავაგმა წაართვეს მაჰმადიანებს“;⁵³ სტეფანოს ეპისკოპოსი კი სურბმარის აღებას 1235 წლით ათარიღებს.⁵⁴ XIII საუკუნის ბოლოსთვის პოლიტიკური გეოგრაფია და საზღვრები კვლავ იცვლება⁵⁵ – რაშიდ ად-დინის თანახმად, აზნიკი, საქართველოს მსგავსად, დამოუკიდებელი ვილაიეთია;⁵⁶ ჰამდალლაჰ ყაზვინი კი აზნიკის ციხეს რუმს მიათვლის,⁵⁷ ხოლო ვალაშკერტის (Valāsjird) ციხე-ქალაქს დიდ სომხეთში ანუ ხლათის თუმანში ათავსებს.⁵⁸ თუ სპარსელ გეოგრაფოსთან ასახული ვითარება თანადროუ-

⁴⁶ ჟამთააღმწერელი 1959, 311-312.

⁴⁷ შდრ. ატლასი 2003, 30-33.

⁴⁸ ჟამთააღმწერელი 1959, 213-214; ჯაფარიძე 1995, 190-193.

⁴⁹ დარჩიაშვილი 2010, 154.

⁵⁰ ჯაფარიძე 1995, 171; დარჩიაშვილი 2010, 60-61.

⁵¹ ан-Насави 1996, 241; იაკუთი 1964, 36; ჟამთააღმწერელი 1959, 186; ჯაფარიძე 1995, 171.

⁵² ჟამთააღმწერელი 1959, 212.

⁵³ Киракос Гандзакечи 1976, 166-167.

⁵⁴ Галстян 1962, 34.

⁵⁵ ჯავახიშვილი 1982, 96.

⁵⁶ Рашид ад-Дин 1971, 271.

⁵⁷ Hamd-Allāh Qazwīn 1919, 96.

⁵⁸ იქვე, 101.

ლია, გამოდის, რომ აბნიკი (თუკი ოდესმე ეკუთვნოდა საქართველოს) და ვალაშკერტი საქართველოს სამეფოდან თავის უწინდელ მფლობელებს დაბრუნებია. აბნიკის მხარე რუმს, ალბათ, იმ დროს გადაეცა, როდესაც, ალ-ახარის სიტყვით, „ჩობანმა მთელი მსოფლიო დაიმორჩილა“ და „რუმი დამირ-ტაშს მისცა...“⁵⁹ საინტერესოა, რომ სპარსელი გეოგრაფოსის მიხედვით, რუმის ოლქი ემიჯნება საქართველოს, მაშინ როცა ხლათსა და საქართველოს საერთო საზღვარი აღარ აქვთ.⁶⁰ მართლაც, სურბმარი და, მასთან ერთად, შესაძლებელია, ყალზევანიც, ადარბაიჯანის ნახჭევანის დუმანს ეკუთვნოდა.⁶¹ არაქსის მარჯვენა სანაპიროსთან ერთად საქართველო კარგავს მარცხენა სანაპიროსაც – დვინსა და შარურის მხარეს.⁶² უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ცვლილებები მონღოლთა ინიციატივით ხდება; ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს საზღვრების გაფართოებას სამხრეთისკენ, თანაც უპირატესობას ახლად გამაჰმადიანებული ილხანთა კარი ისევ და ისევ მაჰმადიან ქვეშევრდომებს აძლევს. ილხანთა დაინტერესებას ბასიანისადმი ჰამდალლაჰ ყაზვინის კიდევ ერთი ცნობა მოწმობს, აბნიკის ციხე-ქალაქს რომ შეეხება: „ის შეიხ ჰასანმა, ჰაჯი ტულაი სუტაის ძემ ააგო, ხოლო ემირ შეიხ ჰასან ჩუჰანმა ქალაქი ნანგრევებად აქცია“.⁶³ როგორც ჩანს, ლაპარაკია XIV ს-ის 30-იან წწ. საყაენოში მიმდინარე შიდაფეოდალური ბრძოლების ერთ-ერთ ეპიზოდზე, რომელშიც ჩობან ნოინისა და ხაჯი სატაის შთამომავლები უპირისპირდებოდნენ⁶⁴ და რომელიც ბასიანში გათამაშდა. ისიც საინტერესოა, რომ ცნობილი ჩობან-ქეფრუს აგება, ასევე, „ჩობანიანთა საგვარეულოს ერთ-ერთ მელიქს“ მიენერებოდა.⁶⁵

ჩრდილოეთ ბასიანი სამცხე-საათაბაგოსა და, მაშასადამე, საქართველოს შემადგენლობაში რჩებოდა. თურქ ავტორთა შრომებიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ბასიანი XV საუკუნის II ნახევრიდან ჯერ უზუნ-ჰასანის თეთრბატკნიანებს, ხოლო შემდეგ ყარა-იუსუფის შთამო-

⁵⁹ ал-Ахари 1984, 104.

⁶⁰ Hamd-Allāh Qazwīn 1919, 95, 100.

⁶¹ იქვე, 90.

⁶² ал-Ахари 1984, 115.

⁶³ Hamd-Allāh Qazwīn 1919, 96.

⁶⁴ ал-Ахари 1984, 113-119.

⁶⁵ ევლია ჩელები 1971, 210.

მავალ შავბატკნიანებს ეპყრათ.⁶⁶ მაგრამ უზუნ-ჰასანის თანამედროვე ბასიანელები თავის სტატუსს განსხვავებულად აღიქვამდნენ: 1477 წლით დათარიღებულ ერთ სომხურ ანდერძ-მინანერში ნათქვამია, რომ „დაინერა ეს სახარება ... ბასიანის გავარში, სოფელში, რომელსაც ჰქვია ეგეპატი, სასტიკ, უკეთურ დროში... [ნიგნი დაინერა] საქართველოში ბაგრატის მეფობისას, ყორყორეს ათაბაგობისას ... უზუნ ჰასანის დროს“.⁶⁷ მაშასადამე, ბასიანის მკვიდრთ თავისი ქვეყანა საქართველოს საზღვრებში წარმოედგინათ, სიუზერენებად – საქართველოს მეფე და სამცხის ათაბაგი, უზუნაეს ხელმწიფედ – უზუნ-ჰასანი. სულ მალე ათაბაგები ისე მომძლავრდნენ, რომ არათუ ბასიანის შენარჩუნებას, არზრუმის დაპატრონებასაც კი ცდილობენ.⁶⁸ ამგვარი ვითარება XVI ს-ის I ნახევრამდე გრძელდებოდა. 1530-იან წლებში შედგენილი ერთი თურქული დოკუმენტის მიხედვით, „გზა საქართველოს ქვეყნისაკენ ბინგიოლის სახელით ცნობილი იალალიდან გადის ბასიანის დაბლობზე, ავნიქის ციხის მარცხნივ, ჩობანის ხიდის ახლოს, შეიძლება თვითონ ჩობანის ხიდზე გავლითაც... საქართველოს ტერიტორიაზე ხსენებული ბასიანის ოლქში შესვლისას მარჯვნივ დაბლობი გხვდება. მის მარჯვნივ კი ყიზილბაშთა ქვეყანა იგი კალიზმანად წოდებული ადგილის პირისპირაა“.⁶⁹ მაშასადამე, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი კვლავ არაქსის ზემო წელზე იდო; „გამშვები პუნქტის“ როლს ჩობან-ქოფრუ ასრულებდა (სამხრეთ ბასიანიდან შემომავალი გზა), ხოლო გზებს, როგორც ჩანს, ამავე დოკუმენტში დასახელებული ქუფისა და საფნიქის ციხეები⁷⁰ სდარაჯობდა.⁷¹ მიწათმფლობელობაც აქ ქართული ყოფილა – მამულებს ყანდურალი (დოლენჯიშვილი), აზონის ძეები და ჯაყელები ფლობდნენ.⁷² ყანდურალის მამული, არზრუმის იჯმალ დავთრის მიხედვით, მდებარეობდა ზივინის ნაჰიფეში (ქვემო ბასიანი, ხორასან-მიჯნაკერტის მხარე), სოფ.

⁶⁶ ევლია ჩელები 1971, 208.

⁶⁷ აბდალაძე 1978, 89-90.

⁶⁸ იქვე, 99.

⁶⁹ აბულაძე 1983, 53-54.

⁷⁰ ლოკალიზაცია უცნობია – აბულაძე 1983, 64-65, შენ. 69-70.

⁷¹ აბულაძე 1983, 53-54.

⁷² იქვე, 53-54.

მანალახეთში;⁷³ მაშასადამე, მთელი ჩრდილოეთ ბასიანი საქართველოს (სამცხე-საათაბაგოს) კუთვნილება.⁷⁴

პოლიტიკური გეოგრაფიის დანვრილებითმა შესწავლამ ცხადყო, რომ ვალაშკერტის საეპისკოპოსო იმ საზღვრებში, როგორც ის სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა ნუსხაშია წარმოდგენილი, ქართულ მონარქიაში XIII საუკუნის 30-70-იან წლებში არსებობდა. მაგრამ ზემოთ დავინახეთ, რომ მისი ისტორია გაცილებით ადრე დაიწყო. ქართული ეპარქიის დაარსება საქართველოს საზღვრებს მიღმა სავსებით დასაშვებია; ამის მაგალითად შეიძლება, ჩრდილოეთ კავკასიაც დაგვესახელებინა. თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ იმ დროს, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, დაღესტანში, მცხეთის იურისდიქციამ საკმაოდ ადრე დაიწყო გავრცელება, რაც, საბოლოოდ, საქართველოს ეკლესიაში შემომავალი ხუნძთა საკათალიკოსოს შექმნით დასრულდა, დასავლეთ სექტორში, კერძოდ კი ალანთა სამეფოში, სადაც ბერძნულ სახელმწიფოსაც და ეკლესიასაც სისხლხორცეული ინტერესები ჰქონდა, ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის მესვეურნი მხოლოდ და მხოლოდ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მწედ გამოდიოდნენ.

სულ სხვა ვითარება იყო საქართველოს სამხრეთ საზღვრებზე, სადაც სომხურ თუ სომეთისგან მიტაცებულ ქართულ მიწებზე უკვე IV საუკუნეში არსებობდა უძველესი სომხური საეპისკოპოსოები: ტაო-ტაიქის, ბასიანის, ვანანდის, ბაგრევანდისა და არშარუნიქის.⁷⁵ სომხეთში საეპისკოპოსოთა საზღვრები, როგორც წესი, სანახარაროებს ემთხვეოდა,⁷⁶ თუმცა გარკვეულ ცვლილებებს მაინც განიცდიდა: ხან ბასიანი ორ ეპარქიად იყოფოდა, ხან მეზობელ ვანანდის,⁷⁷ ან მარდალის პროვინციებთან ერთ ეპარქიას ქმნიდა;⁷⁸ VI საუკუნის შუა ხანებისათვის ბაგრევანდისა და არშარუნიქის საეკლესიო ოლქი ორ დამოუკიდებელ საეპისკოპოსოდ (ბაგრევანდის და არშარუნიქის) გაიყო.⁷⁹ ცვლილებები სომხურ საეკლეს-

⁷³ აბულაძე 1983, 65, შენ. 70.

⁷⁴ შდრ. ატლასი 2003, 36-40, 42.

⁷⁵ ფავსტოს ბუზანდი 1953, 83, 204, 207; Адоиц 1971, 345.

⁷⁶ Адоиц 1971, 322-370; Hewsen 2001, 75-80.

⁷⁷ ფავსტოს ბუზანდი 1953, 208.

⁷⁸ Адоиц 1971, 332-333.

⁷⁹ იქვე, 331.

სიო გეოგრაფიაში უფრო გვიანაც შეინიშნება. 1456 წლის მინაწერიდან ირკვევა, რომ ბასიანი და ოლთისის თემი ერთ ეპარქიად ერთიანდებოდა და მთავარეპისკოპოსი განაგებდა.⁸⁰

მართალია, სომხურმა ეკლესიამ უარყო ქალკედონის კრების დადგენილება, მაგრამ იქ დიოფიზიტობა მაინც იკვალავდა გზას, განსაკუთრებით კი მავრიკე და ჰერაკლე კეისრების აღმოსავლური ომების შედეგად. მართლმადიდებლური თემები ქალკედონიზმისკენ მიდრეკილ სომეხ მამამთავრებს – ეპისკოპოსებს და კათალიკოსს – ემორჩილებოდნენ. VIII საუკუნის დასაწყისში სომხური ეკლესია საბოლოოდ გაემიჯნა დიოფიზიტობას და კავკასიაში მონოფიზიტობის ჭეშმარიტ ბურჯად გადაიქცა.⁸¹ როგორი იყო ამის შემდეგ სომეხ დიოფიზიტთა საეკლესიო ორგანიზაცია, წყაროებიდან არ ჩანს. ბიზანტიელთა ე.წ. მეორე ექსპანსიის (X ს.-ის ბოლო – XI ს.) შემდეგ ისინი ბერძნულ ეკლესიას ექვემდებარებიან.⁸² ვრცელდებოდა თუ არა ტაოსა და ჩრდილოეთ სომხეთში ქართული ეკლესიის იურისდიქცია? ტაოს მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ ქართული ეპარქიები (იშხანი, ბანა) ამ მხარეში მხოლოდ მას შემდეგ შეიქმნა, რაც ის ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში მოექცა.⁸³ ჩრდილოეთ სომხეთშიც ქართული ეპარქიები (ანისი, ყარსი) ქართველთა პოლიტიკური ბატონობის დამყარებასა და ქართული თუ ქართულენოვანი მრევლის გაჩენასთან ერთად იქმნება.⁸⁴ საფიქრებელია, რომ ვალაშკერტის საეპისკოპოსოში შემავალ პროვინციებზეც ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური და საეკლესიო იურისდიქციის გავრცელება თანმდევი პროცესებია.

ამათგან ყველაზე ადრე, როგორც დავინახეთ, ქართველმა ბაგრატიონებმა ჩრდილოეთ ბასიანი შემოიმტკიცეს. მისი შემოერთება კეისრის დასტურით მოხდა; საეკლესიო ინკორპორაციაც, შესაძლოა, ბერძნულ ეკლესიასთან მოლაპარაკებით გადაწყდა. სავარაუდოდ, ის თავიდან ბანელ ეპისკოპოსს დაექვემდებარა. ბიზანტია-სახალიფოს ომების შედეგად

⁸⁰ აბდალაძე 1978, 75.

⁸¹ Арутюнова-Фиданиян 2010, 8-9.

⁸² იქვე, 11-13.

⁸³ ჭეიშვილი 2007, 109-116.

⁸⁴ ჭეიშვილი 2013.

ბასიანი აოხრებული და თითქმის გაუკაცრიელებული ყოფილა,⁸⁵ რაც, გარკვეულწილად, ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა იქ ქართული ელემენტის ხელახლა შეღწევისათვის და მხარის რენაციონალიზაციისათვის. ქართული საეკლესიო-კულტურული ტრადიციების განმტკიცება სომხური ეკლესიის მძაფრ წინააღმდეგობას აწყდებოდა. დამახასიათებელია ასოლიკის ცნობა იოანე ვარდაპეტზე (X ს-ის უკანასკნელი მესამედი), „ქრისტეს ჯვრისმტვირთელზე“, „რომელმაც უძლური სიტყვით და დიდი მეცნიერებით ამხილა წმიდა წერილთა უვიცობა. ის მოკვდა გაცოფებული ქართველთა ტომისაგან მახვილით და დაეფლა ვანში, რომელსაც აკსიგომი ეწოდება“.⁸⁶ ბასიანში სამისიონერო მოღვაწეობის წარმატებისთვის მნიშვნელოვანი იყო დამოუკიდებელი საეპისკოპოსოს დაარსება; მწყემსმთავართა ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას ხომ „მოუქცეველთა“ მოქცევა და „ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა“ „განმტკიცება“, „სამწყსოთა თუსთა“ „სწავლა“ და „წურთნა“ და ეკლესიათა აღშენება წარმოადგენდა.⁸⁷ ზაქარია ვალაშკერტელის (ტაოელი დაფანჩულების წარმომადგენელი და დავით კურაპალატის აღზრდილი) მოღვაწეობა და შემოქმედება⁸⁸ კარგად წარმოაჩენს იმ ეროვნულ-სარწმუნოებრივ სულისკვეთებას, რომელიც ეპარქიაში სუფევდა. ქართული სახელმწიფოს სწორი პოლიტიკის შედეგი იყო ისიც, რომ ბიზანტიის უღელქვეშ მოქცეული ბასიანის მოსახლეობა კეისართან დაპირისპირებული ქართველი მეფის ერთგული რჩებოდა.⁸⁹

ზემოთ დავინახეთ, რომ XI ს-ის 20-იანი წლების დასაწყისისათვის ვალაშკერტის საეპისკოპოსო უკვე არსებობდა. 1001 წელს ამ მხარეს, დავით კურაპალატის სხვა სამფლობელოებთან ერთად, ბიზანტიელები დაეუფლნენ და იქ ბერძნული ეკლესია გაბატონდა. ამდენად, ვალაშკერტის ეპარქიის შექმნა X საუკუნით, უფრო კი 60-70-იანი წლებით უნდა დათარიღდეს.⁹⁰ დავით III კურაპალატის, „ძლიერისა და ღვთის მსახურისა მეფისა“ და „მართლმადიდებლობისა თვალის“,⁹¹ ზეობაში ახალი საეპის-

⁸⁵ ყაუხჩიშვილი 1952, 260-263.

⁸⁶ ალექსიძე 1975, 234; ასოლიკი 1864, 129.

⁸⁷ ცხორებაჲ შიოძის და ევაგრესი 1963, 222.

⁸⁸ მეტრეველი 1996, 145-195.

⁸⁹ არისტაკეს ლასტივერტეცი 1974, 45.

⁹⁰ შდრ. ინგოროყვა 1954, 68.

⁹¹ ჟორდანია 1892, 108.

კოპოსოს დაარსება და აქტიური საეკლესიო პოლიტიკის გატარება „ურ-ნმუნო“ სომხებით დასახლებულ ბასიანში მოულოდნელი არ უნდა იყოს; მით უფრო, რომ იმდროინდელი ქართული საზოგადოების დამოკიდებულება სომხური აღმსარებლობისადმი მეტად ნეგატიური იყო.⁹²

„ზემო ქვეყნების“ შემოერთება და იქ ქართველი მოახალშენეების გამოჩენა⁹³ ახლად შემოერთებული ტერიტორიების საეკლესიო მოწყობის აუცილებლობასა და ვალაშკერტის საეპისკოპოსოს საზღვრების გაფართოებასაც განაპირობებდა. 979 წლისთვის „ზემო ქვეყნების“ დიდი ნაწილი, ჰარქისა და აპაჰუნიქის გარდა, უშუალოდ ექვემდებარებოდა ბიზანტიელთა კონტროლს.⁹⁴ საინტერესოა, ვრცელდებოდა თუ არა მათზე ბერძნული საეკლესიო წეს-წყობილება და ბერძნული ეპაქიების არსებობის შემთხვევაში როგორი იქნებოდა მათი სტატუსი ტაოს სამეფოში; სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებიდან ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შეუძლებელია.

უკანასკნელ დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ აქ არსებობდა ტაოს, იმავე ვალაშკერტის, სამამთავრო ანუ სამიტროპოლიტო, რომლის მეთაურს „ზემო ქვეყნების“ სხვა ეპისკოპოსები ექვემდებარებოდნენ.⁹⁵ XI საუკუნის ანდერძ-მინაწერებში ვალაშკერტელი ეპისკოპოსის „მამამთავრობით“ მოხსენიება⁹⁶ საამისო მყარ არგუმენტად ვერ გამოდგება – X-XIII საუკუნეთა ქართულ ტექსტებზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ „მამამთავარი“ შეიძლებოდა ყოფილიყო ბიჭვინტის (აფხაზეთის) კათალიკოზი (?),⁹⁷ ქართლის მთავარეპისკოპოსი,⁹⁸ ესა თუ ის მოქმედი თუ ბერად შემდგარი ეპისკოპოსი,⁹⁹ მონასტრის წინამძღვარი¹⁰⁰ ან რომელიმე ღირშესან-

⁹² Асохик 1864, 193.

⁹³ შდრ. მეტრეველი 1996, 190; მიტროპოლიტი ანანია 2011, 110-113.

⁹⁴ Юзбашян 1988, 136-137.

⁹⁵ მიტროპოლიტი ანანია 2011: 110, 116-118, 123-127, 130-132.

⁹⁶ ჟორდანია 1892, 155, 168, 170; მეტრეველი 1996, 150-151.

⁹⁷ სილოგავა 1980, 142.

⁹⁸ დოლიძე 1965, 36.

⁹⁹ გიორგი მერჩულე 1963, 307; დოლიძე 1965, 49; ბერძენიშვილი 2006, 294; მეტრეველი 1996, 168, შენ. 2.

¹⁰⁰ ჟორდანია 1892, 115-116.

იშნავი ბერი;¹⁰¹ ამიტომ ზაქარია ვალაშკერტელის მამამთავრობა უფრო საპატიო წოდება უნდა ყოფილიყო,¹⁰² ვიდრე სამიტროპოლიტო ოლქისა და მასში შემავალი საეპისკოპოსოების მეთაურობა. არც ის იყო აუცილებელი, რომ „ტაოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს“ მაინცდამაინც თავისი საეკლესიო-ადმინისტრაციული ოლქი, სამიტროპოლიტო ჰქონოდა. ქართლისა და მესხეთის საეკლესიო გეოგრაფიის ერთ-ერთ თავისებურებას სწორედ ის წარმოადგენდა, რომ, საეკლესიო ოლქები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არასდროს ემთხვეოდა ისტორიულ-გეოგრაფიულ ქვეყნებს, პოლიტიკურ და მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულებს ან კიდევ ფეოდალურ სენიორიებს; კერძოდ, იმიერტაო, დავით კურაპალატის სამფლობელოების მთავარი ბირთვი, იმიერტაოში მდებარე ორ საეკლესიო ცენტრს – იშხანსა და ბანას შორის იყო განაწილებული.¹⁰³ ამრიგად, თეზა ტაოს (ვალაშკერტის) სამამამთავროს შესახებ დამატებით დასაბუთებას მოითხოვს.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საეპისკოპოსო ცენტრის ლოკალიზაციაც. მკვლევართა ნაწილს ის ყალზევანში ეგულება და ჩანგლის ეკლესიასთან აიგივებს.¹⁰⁴ ამგვარ გაიგივებას ის გარემოება ეწინააღმდეგება, რომ ყალზევანის თემი, „სამცხე-საათაბაგოს მწყემსმთავართა ნუსხის“ მიხედვით, კარელის საეპისკოპოსოში შედიოდა: „კარელის სამწყსო: სულა კარი და კოლისა და ოლთისის სამზღურის გარდამოღმა გაგჩევანი და კალზევანი“.¹⁰⁵ ნაკლებსარწმუნოა, რომ საეპისკოპოსო კათედრა საეპისკოპოსოს საზღვრებს მიღმა ყოფილიყო – ასეთ პრაქტიკას, სამთავროს გამოკლებით, საქართველოს საეკლესიო გეოგრაფია არ იცნობს.¹⁰⁶

მკვლევართა მეორე ნაწილი მას სომხეთის კარგად ცნობილ ქალაქ ვალაშკერტ//ალაშკერტში ათავსებს და მის დაარსებას დავით კურაპალატის მოღვაწეობას უკავშირებს,¹⁰⁷ მაგრამ ამ თვალსაზრისის გასაზიარე-

¹⁰¹ მეტრეველი 1996, 168.

¹⁰² იქვე, 168.

¹⁰³ დოლიძე 1970, 245; ატლასი 2003, 55.

¹⁰⁴ ზაქარაძე 1885, 150, შენ; თაყაიშვილი 1991, 382; Беридзе 1981, 186-187; ალექსიძე 1978, 105.

¹⁰⁵ დოლიძე 1970, 245.

¹⁰⁶ ატლასი 2003, 55.

¹⁰⁷ ფორდანი 1892, 155; არისტაკეს ლასტივერტეცი 1974, 152-153;

ბლად ქრონოლოგიური დაბრკოლება არსებობს – როგორც წყაროები გვამცნობს, ეს მხარე ქართულ სამყაროს მხოლოდ XIII ს-ის 30-იან წლებში დაუკავშირდა (იხ. ზემოთ).

სწორი უნდა იყოს ნ. ადონცის დაკვირვება (რომელიც შემდეგ ე. თაყაიშვილმა და კ. იუზბაშიანმა გაიზიარეს), რომ ვალაშკერტი, სადაც ქართველთა ეპისკოპოსი იჯდა, მერმინდელი ჰასან-ყალაა ბასიანის ოლქში.¹⁰⁸ სამწუხაროდ, არც ადონცს და არც თაყაიშვილს თავისი შეხედულების დამამტკიცებელი რაიმე არგუმენტი არ მოჰყავთ.

საეპისკოპოსო ცენტრის ბასიანში ლოკალიზაციას მხარს უჭერს ვალაშკერტის საეპისკოპოსოს ჩამოყალიბების ქრონოლოგია და გეოგრაფია. ის ფაქტიც, რომ კარინ-ბასიანის საზღვარზე დაბანაკებულ კეისარს მინცდამანც ზაქარია ვალაშკერტელი ხვდება,¹⁰⁹ იმაზე უნდა მიაინშნებდეს, რომ მისი კათედრა საზღვართან ახლოს მდებარეობდა.

ვალარშაკერტი-ჰასან-ყალა, ანუ ვალარშავანი, ბასიანის „დიდ და-ბას“ წარმოადგენდა.¹¹⁰ ის იმდენად მნიშვნელოვანი ცენტრი ყოფილა, რომ მისი ქვეყანა ბასიანის სინონიმადაც გამოდიოდა ხოლმე.¹¹¹ სომეხთ მეთრონიენი ციხე-ქალაქის მდებარეობას არაქსისა და მურწის შეერთების ადგილას უჩვენებენ და ხან ვალარშავანად, ხან კი ბოლორაპ-აჰაკად მოიხსენებენ.¹¹² სხვა ავტორები მას ბოლონის ციხეს,¹¹³ ბოლოს ციხეს // ბოლოსტიკეს,¹¹⁴ ფასიანს¹¹⁵ ან ბასიანს¹¹⁶ უწოდებენ. ნ. ადონცის თანახმად, ბოლონის ციხემ სახელი მას მერე შეიცვალა, რაც ის სპარსეთის მეფე ვალარშმა (484-488 წწ.) საგანგებოდ გაამაგრა.¹¹⁷ სომხური

აბდალაძე 1988, 110-111; მეტრეველი 1996, 190; ატლასი 2003, 55; Арутюнова-Фиданиян 2010, 14.

¹⁰⁸ Адонц 1971, 24 და იქვე, შენ. 2; Такайшвили 1952: 23-24; Юзбашян 1968; ჭეიშვილი 1997, 362.

¹⁰⁹ არისტაკეს ლასტივერტეცი 1974, 45.

¹¹⁰ იქვე, 72.

¹¹¹ ცაგარეიშვილი 1975, 159.

¹¹² Sebeos 1999, 11; მოვსეს ხორენაცი 1984, 153.

¹¹³ ყაუხჩიშვილი 1965, 52, 56.

¹¹⁴ ისტორიანი და აზმანი 1959, 96.

¹¹⁵ ყაუხჩიშვილი 1952, 133, 146.

¹¹⁶ ვახუშტი 1997, 140.

¹¹⁷ Адонц 1971, 24-25.

საისტორიო ტრადიციით კი „ვალარშავანი“ სომხეთის ნახევრად მითიური მეფის, ვალარშისგან წარმომავლობდა.¹¹⁸ ვალარშის სახელთანა დაკავშირებული „ვალარშაკერტი“ და „ვალარშაპატი“. მართალია, სამივე ტოპონიმი სრულიად გარკვეულ ადგილებს მიემართებოდა, მაგრამ მათი აღრევაც შეინიშნება: ასოლიკის „ისტორიაში“ ვალარშაკერტი და ვალარშაპატი პარალელურად იხმარება.¹¹⁹ ვალარშავანის მრავალგვარი სახელდება და ვალარშთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელების მონაცვლეობა გვაფიქრებინებს (ნ. ადონცისა და ე. თაყაიშვილის კვალდაკვალ), რომ ვალარშავანი გარკვეულ დროს და გარკვეულ წრეებში ვალაშკერტ-ვალარშაკერტად გამოითქმოდა.

არსებობს ერთი სომხური წყარო და მისი ძველი ქართული თარგმანი, რომელიც, თითქოს, ვალარშავან-ვალშკერტის იგივეობის სასარგებლოდ მეტყველებს. მხედველობაში მაქვს VII-VIII საუკუნეების ჰაგიოგრაფიული ძეგლი „სიტყუანი წამებისათვის წმიდისა ოსკისი და მოყუასთა მისთაი“,¹²⁰ რომლის მოკლე შინაარსი ამგვარია: წმ. ოსკი (ქრივსი) და მისი მიმდევრები დასავლეთ ბაგრევანდში, წალკეში, მოწესებდნენ; სომეხთა მეფის შიშით მათ თავი შეაფარეს შჯარაბაშხის, უკეთ, ჯრაბაშხის მთას, მაგრამ წარმართებმა მიაგნეს მათ და „მონყუდნეს მახჯლითა“. გადარჩნენ მხოლოდ ორნი, რომელნიც გაეცალნენ იქაურობას და „წარვიდენ დასავალით კერძო, ძირსა მთისა მის, და პოვეს ადგილი კეთილად შეზავებული მახლობელად ველისა პირსა, რომლისაგან გამოდიოდეს წყარონი მრავალნი“. წმინდა მოწესენი იქვე გარდაიცვალნენ და დაიკრძალნენ. „ხოლო მცირედთა ჟამთა შემდგომად ადგილი იგი ალაშქნეს მონასტერი ვალაშის მიერ მეფისა, და მუნ დააშენა ძმ თვისი, კეთილად შეზავებისათვის მის ადგილსა, და უწოდა ადგილსა მას ვალაშკერტი სახელად თვისსა“. „სიტყუანის“ დასასრულს განმარტებულია, რომ ჯრაბახტ // ჯრაბაშხს, წმინდა მონამის სუქიასის სახელის მიხედვით, სუკავის მთა ეწოდა და „დღენდელად დღედმდე მინაჲ ორთაჲვე მათ ადგილთაჲ საკურნებელად სენთა არს“.¹²¹ ასოლიკს სუკავის მთა ბაგრევანდის დასავლეთით ეგულება,¹²²

¹¹⁸ მოვსეს ხორენაცი 1984, 153.

¹¹⁹ Асохик 1864, 192.

¹²⁰ აბულაძე 1944, 0126-0131, 9-21.

¹²¹ აბულაძე 1944, 21; Адонц 1971, 311, შენ. 1.

¹²² Асохик 1864, 195.

ხოლო ჰაკობ კარნეცი მას ქოსე-დალთან აიგივებს.¹²³ ეს იდენტიფიკაცია გაზიარებულია სპეციალურ ლიტერატურაში.¹²⁴ თუ ნაწარმოების გეოგრაფია აღრეული არაა, მაშინ გამოდის, რომ ჯრაბაშხ-სუკავის მთის ანუ ქოსე-დალის დასავლეთით წასული ახალგაზრდა ბერები არაქსის ხეობაში გადასულან; შესაბამისად, აქვეა საძიებელი მეფე ვალარშის მიერ დაარსებული „ავანი“, ე.ი. სოფელი, დაბა, დასახლებული ადგილი (რაც ქართველმა მთარგმნელმა „მონასტრად“ გაიაზრა), ვალაშკერტი. ახლა თუ გავიხსენებთ, რომ იმავე მეფეს არაქსის ხეობაში, ბასიანში, დაბა ვალარშავანი ჰქონდა დაარსებული (იხ. ზემოთ), ვალაშკერტსა და ვალარშავანს შორის ტოლობის ნიშნის დასმა აღარ გაჭირდება (ვალარშავანი, რომელ არს ვალარშაკერტი – ასეთი იყო, ჩანს, ანონიმი ჰაგიოგრაფის გეოგრაფიული ფორმულა). ჩვენს ტექსტში „ვალაშკერტი“, „ვალარშაკერტის“ რედუქციული ფორმა, გვაქვს დამონმებული. ეს ფაქტი იმითაა საყურადღებო, რომ სომხური საისტორიო ტექსტების მიხედვით, „(ვ)ალაშკერტის“ გამოჩენა და „ვალარშაკერტის“ გამოდევნა ამაზე ბევრად გვიანი მოვლენაა.¹²⁵ აქედან გამომდინარე, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვალარშავანი ვალაშკერტად სომეხი დიოფიზიტებისა და ქართველების მიერ მოიხსენებოდა?

ვალაშკერტში (Վաղարշապատ) ყოფილა ნერსე სომეხთა კათალიკოსის მიერ ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის სახელზე აგებული ეკლესია.¹²⁶ თუ ვალაშკერტი მართლაც მერმინდელი ვალარშავან-ჰასან-ყალაა,¹²⁷ მაშინ ეს საყდარი შეიძლებოდა ქცეულიყო ქართულ საეპისკოპოსო ცენტრად – ქართველები დიდი პატივით ეპყრობოდნენ დიოფიზიტობის ბურ-

¹²³ ჰაკობ კარნეცი, 47-48.

¹²⁴ Асохик 1864, 195, შენ. 2; Երեմյան 1963, 81; Hewsen 2001, 63.

¹²⁵ „ვალაშკერტი“ პირველად XII ს-ის ისტორიკოსთან, ფსევდოშაპუჰთანაა დადასტურებული (ცაგარეიშვილი 1975, 159). სტეფანოს ორბელიანი (XIII ს.) „ვალარშაკერტს“ ხმარობს (1978, 126), ხოლო მხითარ აირივანეცი (XIV ს.) – „ვალაშკერტს“ (1990, 81). თოვმა მენოფეტთან (XV ს.) ორივე ფორმაა დადასტურებული (1987, 53, 70); ჰაკობ კარნეცის (XVII ს.) დროს კი „ვალაშკერტი“ საყოველთაოდ დამკვიდრებული სახელწოდება ყოფილა, „ვალარშაკერტი“ კი ლიტერატურულ ტრადიციას შემორჩა მხოლოდ (გვ. 48).

¹²⁶ იოანე მამიკონიანი 1832, 55.

¹²⁷ Адонц 1971, 24; შდრ. Арутюнова-Фиданян 2010, 14.

ჯად ცნობილი ნერსე კათალიკოსის სახელს და მის მიერ აღმართულ ტაძრებს ახალ სულს შთაბერავდნენ ხოლმე.¹²⁸ ვალაშკერტ-ჰასან-ყალაში რომ მართლაც უნდა არსებებულიყო დიოფიზიტური კათედრა, ეს ბიზანტიური საეპისკოპოსო ნუსხებიდანაც ჩანს. X (= III) ნოტიციაში ლაზიკის ტრაპეზუნტს დაქვემდებარებულ კათედრებს შორის დასახელებულია ფასიანის საეპისკოპოსოც.¹²⁹ ფასიანის, იმავე პასენის ანუ ჰასან-ყალას კათედრა¹³⁰ სხვა ნუსხებში არ იხსენიება. X ნოტიციაც საკმაოდ გვიანდელია – მის განმარტებებში ალექსი I კომნენოსი (1081-1118 წწ.) და ისააკ II ანგელოსი (1185-1195 წწ.) ფიგურირებენ.¹³¹ ბიზანტიურ ეკთესისებში ფასიანის კათედრის გაჩენა კარგად ესადაგება XI საუკუნის 20-იან წლებში განვითარებულ მოვლენებს – ზაქარია ვალაშკერტელის, რომლის მოღვაწეობა ეპარქიაში დისკომფორტს უქმნიდა ბერძნულ სახელმწიფოსაც და ეკლესიასაც, გადასახლებითა თუ სიკვდილით დასჯით ბიზანტიელები ბასიანში აუქმებენ ქართულ სამწყსოს და მას კონსტანტინოპოლს უქვემდებარებენ.¹³² ბასიანის პოლიტიკური და საეკლესიო ინკორპორაცია იმპერიაში არ უნდა იყოს მოულოდნელი: სახელმწიფოს მსგავსად, ბიზანტიის ეკლესიაც საეკლესიო კანონებზე მაღლა, ზოგჯერ, იმპერიულ ამბიციებს აყენებდა და სხვა ეკლესიათა კუთვნილი ტერიტორიების მიტაცებასაც არ თაკილობდა. ამის კარგი მაგალითი ისევ საქართველოა: მას შემდეგ, რაც XI ს-ის 30-იან წლებში ბიზანტიელებმა აფხაზეთის ერთი ნაწილი, ანაკოფია, დაიპყრეს, ის უმალ ბერძნულ ეკლესიას დაუქვემდებარეს, რასაც მოწმობს ახალ ათონთან (ძველ ანაკოფიასთან), ივერიის მთაზე აღმოჩენილი ბერძნული ლაპიდარული წარწერები.¹³³

შეიცვალა საეკლესიო გეოგრაფიაც: თუ ქართულ სახელმწიფოში, მცხეთის ტახტს დაქვემდებარებულ ბასიანში მხოლოდ ერთი საეპისკოპოსო საყდარი არსებობდა, ბიზანტიის იმპერიაში ბერძნულ ეკლესიის ბატონობის პირობებში სულ მცირე სამი კათედრა გაჩნდა: ფასიანის, ან-

¹²⁸ გიორგი მერჩულე 1963, 265, 274.

¹²⁹ ყაუხჩიშვილი 1952, 133, 146.

¹³⁰ შდრ. Арутюнова-Фиданиян 2010, 11.

¹³¹ ყაუხჩიშვილი 1952, 146.

¹³² აბდლაძე 1988,124-125; მიტროპოლიტი ანანია 2011, 126, 128; შდრ. მეტრეველი 1996, 191.

¹³³ ყაუხჩიშვილი 2004, 68-72.

დოკისა და ორდორუსი, რომლებიც ტრაპიზონისა და თეოდოსიუპოლის სამიტროპოლიტოებს ემორჩილებოდა.¹³⁴

ტრაპიზონის მიტროპოლიაში საკავის საეპისკოპოსოც შედიოდა.¹³⁵ საკავი ანუ სუკავეთი ბაგრევანდის ოლქში, ვალაშკერტის ჩრდილოეთით მდებარეობდა.¹³⁶ ამ საკრალურ სივრცეს უკავშირდებოდა „ნინაპართაგან მამათა ქართუელთა“ მიერ „ჭემმარიტების მონამეებად“ შერაცხულ სუკა-ვეტელთა მონამებრივი აღსასრული.¹³⁷ დიოფიზიტური თემების მკვიდრობა ბაგრევანდში¹³⁸ გასაგებს ხდის მოგვიანებით მასზე ქართული ეკლესიის იურისდიქციის გავრცელებას. თუმცა ქართულ სახელმწიფოში აღარ ჩანს ბიზანტიური ეკთესისებით დამონმებული სხვადასხვა საეპისკოპოსო კათედრები. ბაგრევანდი და ბასიანი ერთი ეპისკოპოსის, ვალაშკერტელის, იურისდიქციას ექვემდებარებოდა. ამ ორი პროვინციის ერთ ეპარქიად გაერთიანება ხანდახან სომხურ სინამდვილეშიც ხდებოდა.¹³⁹

XIII ს-ის შემდეგ საქართველოს აღარ დაუბრუნებია აღარც აბნიკი და აღარც ვალაშკერტი; იმოქმედა თუ არა პოლიტიკური გეოგრაფიის ცვლილებამ საეკლესიო გეოგრაფიაზე, არ ჩანს („ნუსხას“ სურს დაგვარწმუნოს, რომ არა); ქართული მოსახლეობის კვალი აქ ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზეც შეინიშნება.¹⁴⁰

ვალაშკერტის საეპისკოპოსო უკანასკნელად იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ მოიხსენება.¹⁴¹ მისი ცნობები მესხეთის ეპარქიების შესახებ მეტად აღრეულია და მნიგნობრული ტრადიციის დამახინჯებული ვერსიის შთაბეჭდილებას ტოვებს.

¹³⁴ Арутюнова-Фиданян 2010, 11-12; შდრ. Hewsen 2001, 124.

¹³⁵ ყაუხჩიშვილი 1952, 133, 146.

¹³⁶ Арутюнова-Фиданян 2010, 11.

¹³⁷ აბულაძე 1944, 9-21; ანტონ I კათალიკოსი 1980, 340-352.

¹³⁸ სტეფანოს მტბევარის მტკიცება, რომ სომხეთში, კერძოდ, ბაგრევანდსა და წალკოიტში – გვიანდელ ვალაშკერტში – არ „იპოვებოდა საყდარი მართლმადიდებელთა ეპისკოპოსთაჲ, არცა მონასტერი მართლმადიდებელთა მორწმუნეთა მონაზონთაჲ“ (1963, 175), შეიძლება, იდეურ-მხატვრულ ჰიპერბოლად ჩავთვალოთ (იხ. ჭეიშვილი 2012, 39-40).

¹³⁹ Գլխք Թղթոց 1901, 412.

¹⁴⁰ აბულაძე 1993, 256.

¹⁴¹ იოანე ბაგრატიონი 1986, 83-84.

ნიშანდობლივია ვალაშკერტელის კათედრის მოუხსენლობა ვახუშტის თხზულებაში. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ მეცნიერ ბატონიშვილს ბასიანი ქართულ მხარედ ეგულება.¹⁴² ჩანს, ეს კათედრა „აღწერის“ შექმნამდე დიდი ხნით ადრე ყოფილა გაუქმებული.¹⁴³

ვალაშკერტის საეპისკოპოსოს გაუქმება სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილში ოსმალთა ბატონობის დამყარებას უკავშირდება (XVI ს-ის შუა ხანები). შესაძლებელია, რომ ის უფრო ადრე გაუქმდა, ვიდრე ყოფილი სამცხე-საათაბაგოს სხვა კათედრები. ამის მიზეზი პოლიტიკური და დემოგრაფიული ცვლილებები შეიძლება ყოფილიყო: ირან-თურქეთის ომები, ყიზილბაშთა და ოსმალთა ბატონობის მძიმე უღლით გამონვეული მიგრაციები¹⁴⁴ და ქართული ეთნოსის თანდათანობითი გადაგვარება ან აყრა-გადასახლება. ჰაკობ კარნეცის თანახმად, მის დროს ბასიანში მხოლოდ სომხები და მცირედ თურქები ცხოვრობდნენ.

ქართული მოსახლეობისგან დაცლილი ბასიანის საეპისკოპოსო ცენტრმა დროებით არზრუმში გადაინაცვლა.¹⁴⁵

ბიბლიოგრაფია

References

აბღალაძე 1978: *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, ძველი

¹⁴² ვახუშტი 1997, 140.

¹⁴³ ამასთან დაკავშირებით ერთ ასეთ ფრთხილ ვარაუდსაც გამოვთქვამთ: ხომ არ გადაინაცვლა XIII ს-ის შუა ხანებისათვის საეპისკოპოსო ცენტრმა ვალაშკერტ-ჰასანყალადან ვალაშკერტ-ალაშკირტში, რომელიც საქართველომ გაცილებით ადრე დაკარგა და შესაბამისად, იქ საეპისკოპოსოც გაცილებით ადრე მოიხსობოდა. ამგვარი ნაბიჯი დიოფიზიტობაში აღზრდილ და პატივმოყვარე შანშესგან გასაკვირი არ იქნებოდა. კათედრათა მონაცვლეობა ერთი ეპარქიის შიგნით ამავე პერიოდში ქვემო ქართლშიც დასტურდება: XIII ს-ის მეორე მესამედში (?) საეპისკოპოსო ჰუნევეანიდან, იგივე ძელი ჭეშმარიტიდან ახტალაში გადადის (ჭეიშვილი 2013, 382; ატლასი 2003, 55; შდრ. ბერძენიშვილი 2006ა, 206) და ეს პროცესი ისევ და ისევ მხარგრძელებს უკავშირდება (ავაგს?).

¹⁴⁴ აბულაძე 1983, 47-48; Зудаян 1971, 81, 99, 103.

¹⁴⁵ ჭეიშვილი 2013, 251.

სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბილისი

აბდალაძე 1988: აბდალაძე ა. 1988, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, თბილისი

აბულაძე 1944: აბულაძე ი. 1944, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში: გამოკვლევა და ტექსტები, თბილისი

აბულაძე 1983: თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბილისი

აბულაძე 1993: აბულაძე ც. 1993, საქართველოსა და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების სახელწოდებანი ოსმალურ წერილობით წყაროებში, კრებულში, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი

ალექსიძე 1975: უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბილისი

ალექსიძე 1978: ალექსიძე ზ. 1978, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბილისი

ანტონ I კათალიკოსი 1980: ანტონ I კათალიკოსი, მარტირიკა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, რედაქტორი მ. შანიძე, თბილისი

არისტაკეს ლასტივერტეცი 1974: არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბილისი

ატლასი 2003: საქართველოს ისტორიის ატლასი, დ. მუსხელიშვილის რედაქციით, თბილისი

ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი

ბაქრაძე 1885: საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შექმნილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ, ტფილისი

- ბაქრაძე 1987:** ბაქრაძე დ. 1987, *არქეოლოგიური მოგზაურობა გურია-სა და აჭარაში*, ბათუმი
- ბერძენიშვილი 1966:** ბერძენიშვილი მ. 1966, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XIII საუკუნის დამდეგს, *საქართველო რუსთაველის ხანაში*, თბილისი
- ბერძენიშვილი 2006:** ბერძენიშვილი დ. 2006, დებედის ხეობის ისტორიული გეოგრაფიისათვის, კრებ. *დმანისი*, V, 293-326
- ბერძენიშვილი 2006ა:** ბერძენიშვილი დ. 2006ა, *ნარკვევები*, თბილისი
- გიორგი მერჩულე 1963:** გიორგი მერჩულე, შრომა და მოლუანებად გრიგოლისი არქიმანდრიტისა და ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებლისა, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი
- დავითის ისტორიკოსი 1955:** ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, „*ქართლის ცხოვრება*“, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი
- დარჩიაშვილი 2010:** დარჩიაშვილი შ. 2010, *ძიებანი ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიიდან: სომხური ლაპიდარული წარწერების ცნობები საქართველოს შესახებ XII-XIII საუკუნეების პირველ მესამედში*, თბილისი
- დოლიძე 1965:** დოლიძე ი. 1965, *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (IX-XIX სს.), თბილისი
- დოლიძე 1970:** დოლიძე ი. 1970, *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), თბილისი
- ევლია ჩელები 1971:** *ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“*, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, I, თბილისი
- ვარდანი 2002:** ვარდანი 2002, *მსოფლიო ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ, თბილისი
- ვაშაკიძე 2009:** ვაშაკიძე ვ. 2009, ფლეგონის ცნობა ქართლის (იბერიის) სამეფოს შესახებ, *ანალები*, №5
- ვახუშტი 1997:** ვახუშტი ბაგრატიონი, *საქართველოს გეოგრაფია*, თბილისი

- თაყაიშვილი 1907:** თაყაიშვილი ე. *არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი*, I, თბილისი
- თაყაიშვილი 1991:** თაყაიშვილი ე. *არქეოლოგიური ექსპედიცია კოლაოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს, წიგნში: დაბრუნება*, თბილისი
- თოვმა მენოფეცი 1987:** თოვმა მენოფეცი, *ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო კ. კუციამ, თბილისი
- იაკუთი 1964:** *იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, ნაკვ. 1, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ, თბილისი
- ინგოროყვა 1954:** ინგოროყვა პ. 1954, *გიორგი მერჩულე*, თბილისი
- იოანე ბაგრატიონი 1986:** იოანე ბაგრატიონი, *ქართლ-კახეთის აღწერა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბილისი
- იოანე დრასხანაკერტელი 1965:** იოანე დრასხანაკერტელი 1965, *სომხეთის ისტორია*, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბილისი
- იოანე მამიკონიანი 1832:** *Պատմութիւն Տարսնոյ գոյ թարգմանեաց Ջէնոբ Սառլի, Վենետիկ*
- ისტორიანი და აზმანი 1959:** ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, *ქართლის ცხოვრება*, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი
- ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე 1955:** ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, *ქართლის ცხოვრება*, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი
- მეტრეველი 1996:** მ. 1996, *ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან*, თბილისი
- მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) 2011:** მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), იბერიის თემის ქართული სამამამთავრო (ლაზიკის ეპარქიის საზღვრების ზრდა იბერიის თემის დაარსების შემდეგ), საისტორიო-სამეცნიერო ჟურნალი *სვეტიცხოველი*, № 2 (www.sveticxovelijournal.ge)
- მოვსეს ხორენაცი 1984:** მოვსეს ხორენაცი, *სომხეთის ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბილისი

- მუსხელიშვილი 1977:** მუსხელიშვილი დ. 1977, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*, I, თბილისი
- მხითარ აირივანეცი 1990:** მხითარ აირივანეცი, *ქრონოგრაფიული ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბილისი
- ჟამთააღმწერელი 1959:** ჟამთააღმწერელი, *ქართლის ცხოვრება*, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი
- ჟორდანიას 1892:** *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, I, ტფილისი
- ჟორდანიას 1897:** *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II, ტფილისი
- სილოგავა 1980:** *დასავლეთ საქართველოს წარწერები*, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბილისი
- სტეფანე მტბევარი 1963:** ნამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი, რომელი განიყვნეს ყველის ციხით, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, I, დასაბეჭდად მოამზადა ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი
- სტეფანოს ორბელიანი 1978:** *სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები*, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბილისი
- ქათიბ ჩელები 1978:** *ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბილისი
- ყაუხჩიშვილი 1952:** *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტ. IV₂, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი
- ყაუხჩიშვილი 1957:** ყაუხჩიშვილი თ. *სტრაბონის გეოგრაფია*, ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი

- ყაუხჩიშვილი 1965:** გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ტექსტები ქართული თარგმანიურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი
- ყაუხჩიშვილი 2004:** ყაუხჩიშვილი თ. 2004, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბილისი
- ცაგარეიშვილი 1975:** ცაგარეიშვილი ე. 1975, ანონიმი ისტორიკოსი (ფსევდო-შაპუჰი) და მისი „ისტორია“, მრავალთავი, V
- ცხორებაჲ შიოხსი და ევაგრესი 1963:** ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ ღირსისა მამისა ჩუენისა შიოხსი და ევაგრესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი
- ჭეიშვილი 1986:** ჭეიშვილი გ. 1986, პარიადრეს ლოკალიზაციისათვის, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 3
- ჭეიშვილი 1997:** ჭეიშვილი გ. 1997, ბასიანი, საქართველო. ენციკლოპედია, ტ. I, თბილისი
- ჭეიშვილი 2007:** ჭეიშვილი გ. 2007, ტაოს საეკლესიო და პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები ადრე შუა საუკუნეებში, მშვენიერება მოსილი სევდით. თამარ გამსახურდია 70, თბილისი
- ჭეიშვილი 2012:** ჭეიშვილი გ. 2012, კარის (ყარსის) ქვეყნის საეკლესიო და პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები, ჰუმანიტარული კვლევები, ნელინდეული, № 3
- ჭეიშვილი 2013:** ჭეიშვილი გ. 2013, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები სომხეთში, ჟურნ. ლოგოსი, 7, 246-252
- ჯავახიშვილი 1982:** ჯავახიშვილი ივ. 1982, ქართველი ერის ისტორია, III, თხზულებები, III, თბილისი
- ჯავახიშვილი 1998:** ჯავახიშვილი ივ. 1998, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თხზულებები, XI, თბილისი
- ჯაფარიძე 1995:** ჯაფარიძე გ. 1995, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, თბილისი

- ჰაკობ კარნეცი:** *ჰაკობ კარნეცის ცნობები საქართველოს შესახებ, სომხური ტექსტი დაქართული თარგმანი მოამზადა ლ. დავლიანი-იძემ (ხელნაწერი)*
- Hamd-Allāh Qazwīn 1919:** *The Geographical Part of the Nuzhat-al-Qulūb Composed by Hamd-Allāh Mustawfi of Qazwīn in 740 (1340). Translated by G. Le Strange, Leyden and London*
- Hewsen 2001:** Hewsen R. 2001, *Armenia: A Historical Atlas*, Chicago and London
- Sebeos 1999:** *The Armenian History Attributed to Sebeos*, translation with notes by R. W. Thomson, historical commentary by J. Howard-Johnston, assistance from T. Greenwood, I, Liverpool
- Адонц 1971:** Адонц Н. 1971, *Армения в эпоху Юстиниана*, Ереван
- Арутюнова-Фиданян 2010:** Арутюнова-Фиданян В. А. 2010, К вопросу о существовании халкидонитской Церкви в Армении, *Вестник ПСТГУ III: Филология*, Вып. 4 (22)
- Асохик 1864:** *Всеобщая История Степаноса Таронского, Асохика по прозванию*, переведена с армянского и объяснена Н. Эминим, Москва
- ал-Ахари 1984:** ал-Ахари Абу Бакр ал-Кутби 1984, *Тарих-и шейх Увейс*, Перевод М. Д. Кязимова и В. З. Пириева, Баку
- Беридзе 1981:** Беридзе В. 1981, *Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры*, Тбилиси
- Галстян 1962:** *Армянские источники о монголах*, Перевод с древнеармянского, предисловие и примечания А.Г. Галстяна, Москва
- Гевонд 1862:** *История халифов вардапета Гевонда, писателя VIII века*, Издание К. Патканова, СПб
- Киракос Гандзакечи 1976:** Киракос Гандзакечи, *История Армении*, перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян, Москва
- Манандян 1930:** Манандян Я. А. 1930, *О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен*, Ереван
- Меликишвили 1959:** Меликишвили Г. А. 1959, *К истории древней Грузии*, Тбилиси
- ан-Насави 1996:** Шихаб ад-дин ан-Насави, *Сират ас-султан Джалал ад-Дин Манкбурны*, Перевод З. М. Буниятова, Москва

- Рашид ад-Дин 1971:** Рашид ад-Дин, *Переписка*. Москва
- Такайшвили 1952:** Такайшвили Е. 1952, *Археологическая экспедиция 1917-20 года в южные провинции Грузии, Тбилиси*
- Чеишвили 2013:** Чеишвили Г., *Картли, Православная Энциклопедия*, 31, Москва
- Юзбашян 1968:** *Повествование варданета Аристакэса Ластивертци*. Перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарии и приложения К. Н. Юзбашяна, Москва
- Юзбашян 1988:** Юзбашян К. 1988, *Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв.*, Москва
- Hewsen 2001:** Hewsen R. 2001, *Armenia: A Historical Atlas*, Chicago and London
- Գիրք Թղթոց, Թիփլիս 1901**
- Երեմյան 1963:** Երեմյան Ս. 1963, *Հայաստանը քստ "Աշխարհագրւյց"-ի*, Երեւան

Giorgi Tcheishvili

The Diocese of Valashkerti

The bishop of Valashkerti (Arm. Vagharshakert) has been mentioned a few times in Georgian and Armenian written sources. Information regarding his diocese is quite scarce. The geography of this area is the basic starting point for the reconstruction of various stages in the history of the diocese.

According to "The List of the Hierarchs and Shepherds of Samtskhe-Saatabago", a document that was composed at the beginning of the 16th century, the Diocese of Valashkerti consisted of the lands of Basiani and Bagrevand. The dioceses of Bana and Ishkhani bordered it to the northwest and west, with them being separated by the Kargapazar Mountains, whereas the diocese of Kari was located to the northeast, with the Imets-Soghanlugh and the Agridagh Ranges lying on the border.

There is a variety of opinions in scientific literature regarding the location of the diocesan center. Some scholars consider it to be in Kaghzevan, identifying it with Changali Church. Making such a parallel is opposed by the fact that the community of Kaghzevan was a part of the Diocese of Kars, according to the *List of the Hierarchs of Samtskhe-Saatabago*. It is less believable

for the episcopal cathedral to have been located outside the borders of the diocese – with the exception of Samtavro, such a practice is unknown in the ecclesiastical geography of Georgia.

The second group of scholars has placed it at the site of the well-known town Valashkert/Alashkert in Armenia, connecting its founding to the active period of David Curopalate (second half of the 10th cent.). But some chronological inconsistencies are encountered when accepting this view, as this region only became associated with the Georgian world during the 1230's, according to sources.

N. Adontz, followed by E. Takaishvili and K. Yuzbashian, pointed out reasonably that Valarshavan (later Hassankale) in the Basiani District would have been a probable see for a Georgian bishop of Valashkert. The identification is acceptable, for there is evidence that Valarshavan was pronounced as Valashkert/Valarshakert by Georgians and Chalcedonian Armenians. Furthermore, according to some Armenian authors, Nerse III (641-661), the Armenian Catholicos, had built a church dedicated to the Most-Holy Mother of God in Valashkert-Valarshavan. It is possible for this church to have become the center of the Georgian diocese. Georgians held the name of pro-Chalcedonian Catholicos Nerse in high esteem, usually breathing new life into the churches that he had erected. It is apparent from Byzantine *Notitiae episcopatum* that a Diophysite cathedral had truly existed in Valashkert-Valarshavan (= Greek Phasianes).

Placing the episcopal center in Basiani is supported by the chronology and location of the founding of the Diocese of Valashkert. It is known that the Bagrationi Dynasty in Georgia had gained control of northern Basiani at the beginning of the 10th century. Its inclusion took place through the assent of the Byzantine Emperor. It is possible that the ecclesiastical incorporation was decided upon through talks with the Greek Church as well. There is a hypothesis that it had originally been under the jurisdiction of the bishop of Bana. Basiani was almost laid to waste and ruin as a result of the wars between Byzantium and the Arab Caliphate, which, more or less, created a fertile ground for a fresh incursion of the Georgian element and a national reintegration of this region. The reinforcement of Georgian ecclesiastical and cultural traditions was met with stiff resistance by the Monophysite Armenian Church. The founding of an independent diocese was crucial for the success of missionary labours in Basiani. During the 60-70's of the 10th century the

bishopric of Valashkerti was created in Basiani through the initiative of David III Curopalates, “a mighty and pious king” and “a source of Orthodoxy”. Zacharia the Iberian, a representative of the Dapanchuli family from Tao and David’s protégé, is the first known Georgian hierarch of Valashkerti. Names of other bishops have not been found yet. The deeds of Zacharia of Valashkerti are well-apparent through the national and religious drive dominant in the diocese. He actively participated in the peace talks between Byzantium and Georgia in 1021-1022. The fact that Zacharia of Valashkerti met with Emperor Basil II, then encamped at the Karin-Basiani border (Aristakes Lastivertsi), must signify that his see was located close to the border.

The Byzantines seized Basiani, as well as other dominions under David Curopalates, in 1001, with the Georgian parish there being annulled after about twenty years and the local Diophysite communities being placed under the jurisdiction of Constantinople. The ecclesiastical landscape was also altered. If only one episcopal center was extant in Basiani, being under the jurisdiction of Mtskheta in the Georgian state, at least three cathedrals were in existence under the domination of the Greek Church in the Byzantine Empire: Phasianes, Andakos, and Ordoru, which were under the control of the Metropolitanates of Trebizond and Theodosiopolis.

The Kingdom of Georgia regained control of Basiani at the turn of the 12th century, restoring it to the jurisdiction of the Georgian Church. Bagrevand (Valashkert) was incorporated into it during the 1230’s. Both lands were consolidated in the Diocese of Valashkerti. It becomes apparent when studying the political landscape that the Diocese of Valashkerti existed in the Georgian kingdom during the 1230-1270’s within the borders as portrayed in the *List of the Hierarchs of Samtskhe-Saatabago*. The senior holdings of the Church in Basiani and Bagrevand differed from those of the secular principalities. All the land extant in the Diocese of Valashkert was distributed between the two greatest feudal families in Georgia: The House of Jakeli, princes of Samtskhe, controlled Basiani, whereas the House of Mkhargrdzeli had dominion over Bagrevand.

According to some monuments of Georgian law, the hierarch of Valashkerti had the 25th place of honour among the 35 hierarchs in the ecclesiastical organization of Likht-Ameri (i.e. East and South Georgia), in the following order: the bishop of Nikozi, the bishop of Valashkerti, the bishop of Bolnisi, and so on. He was ninth in line out of the 13 hierarchs of Meskheti – after the bishop of Erusheti and before the bishop of Ani.

The Georgian state lost southern Basiani and Bagrevand-Valashkert in the 1370's, never to regain control of them again. Despite the changes in the political geography, the ecclesiastical jurisdictions remained unchanged. It is known from Georgian documents that Basiani and Bagrevand were under the jurisdiction of Catholicos Patriarch of Georgia during the 16th century as well. A trace of a Georgian population in this region is perceptible until the turn of the 16th century.

It is remarkable that the Diocese of Valashkerti had not been mentioned in Prince Vakhushti's work the *Description of the Kingdom of Georgia*. This is even more interesting since he considers Basiani to be a Georgian region. It seems that this diocese had already been dissolved for quite a while before the creation of the *Description*.

The dissolution of the Diocese of Valashkerti is associated with the establishment of Ottoman dominance in the western portion of Samtskhe-Saatabago (the middle of the 16th c.). It is possible that it might have been dissolved earlier than the other former dioceses in Samtskhe-Saatabago. This possibly might have been due to political and demographic changes: the Iranian-Turkish Wars, migrations caused by the heavy yoke of Qezelbash and Ottoman domination, and the gradual deterioration or resettlement of the Georgian ethnos.

The diocesan center of Basiani was temporarily transferred over to Arzrumi, completely devoid of any Georgian inhabitants.